Georgisch / ქართული

გამარჯობა,

მე ვარ თინა სალუქვაძე თბილისიდან. საქართველოში დავამთავრე ეკონომიკის და სამართალის ფაკულტეტი. რაც შეეხება მარკეტინგის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას ჰოფ-ის უმაღლეს სასწავლებელში – მას ინტერნეტის მეშვეობით მივაგენი და უკვე ორი სემესტრია რაც აქ ვსწავლობ.

სასწავლო პროცესი შემდეგნაირია: მთავარი დატვირთვა, გარდა გამოცდებისა, მოდის სხვადასხვა ტიპის რეფერატების დაწერა/წარდგენასა და ემპირიული კვლევების ჩატარებაზე. ჩვენ ხშირად ვაწყობთ ექსკურსიებს სხვადასხვა საწარმოში, ასევე ვსტუმრობთ ჩვენი პროფესიისათვის საინტერესო გამოფენებს. ჩვენი დოცენტები მაღალკვალიფიცირებულნი არიან, ხოლო სასწავლებელი თანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი. სასწავლო პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული რეალობისათვის მომზადებას. აქ ვიძენთ ისეთ კომპეტენციებს როგორიცაა: გუნდური მუშაობისა და სწრაფი გადავწვეტილების მიღების უნარი, ასევე პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება. გარდა ამისა ვეუფლებით ეფექტური პრეზენტაციის ხერხებს და საკმაოდ ღრმად ვეცნობით საბაზრო კვლევის სპეციფიკას. ამ ყველაფერს კი მარკეტინგში კონკურენტუნარიანობის მოსაპოვებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

ამჟამად ვმუშაობ სამაგისტრო ნაშრომზე. სასწავლებლის თანამედროვე ტექნიკურმა აღჭურვილობამ მომცა საშუალება ჩავატარო დამოუკიდებელი კვლევა Eyetracking-ის დანადგარის მეშვეობით. სტუდენტებს ასეთ მაღალხარისხიან ტექნიკასთან მუშაობის საშუალება ყველა უმაღლეს სასწავლებელში არ ეძლევათ.

საერთო ჯამში განვლილი სასწავლო კურსით, ისევე როგორც ზოგადად უმაღლესი სასწავლებლით ძალიან კმაყოფილი ვარ. ამასთან მინდა ავღნიშნო რომ მე, როგორც უცხოელი სტუდენტი თავს აქ სრულიად ინტეგრირებულად ვგრძნობ. სტუდენტებთან კონტაქტის დამყარება საკმაოდ ადვილია, ხოლო რაც შეეხება დოცენტებს, ისინი ნებისმიერ დროს მზად არიან მხარდასაჭერად.

აქედან გამომდინარე თითოეულს, რომელიც მარკეტინგით არის დაინტერესებული ვურჩევდი, ჩვენთან შემოიტანოს განცხადება.

თინა

Hallo,

ich bin Tina Salukvadze und komme aus Tbilissi (Georgien). Dort habe ich mein Erststudium im Wirtschaftsrecht absolviert. Den Masterstudiengang Marketing Management an der Hochschule Hof habe ich im Internet gefunden. Schon seit zwei Semestern studiere ich hier.

Das Studium läuft so ab: neben den Prüfungen, die am Ende des Semesters abzulegen sind, halten wir Vorträge, führen empirische Arbeiten durch und unternehmen Exkursionen zu verschiedenen Unternehmen und Messen. Unsere Dozenten sind sehr qualifiziert und die

technische Ausstattung des Studiengangs ist modern. Das Studium bereitet einen auf die Realität gut vor. Man lernt hier, wie im realen Leben, die Fähigkeit im Team zu arbeiten, sowie Verantwortung zu übernehmen, Entscheidungen kurzfristig zu treffen usw. Außerdem lernt man Präsentationstechniken zu beherrschen und erhält tiefere Einblicke in die Marktforschung. All diese Fähigkeiten und Kenntnisse sind von grundlegender Bedeutung, um im Marketing konkurrenzfähig zu sein.

Derzeit schreibe ich an meiner Masterarbeit. Die Ausstattung des Studiengangs mit den modernen Geräten hat mir die Möglichkeit gegeben, eigenständige Studien mit Hilfe des Eyetracking Gerätes durchzuführen. Diese Chance, an solchen hochqualitativen Geräten zu arbeiten, bekommt man an anderen Hochschulen selten.

Insgesamt bin ich mit meinem bisherigen Studium, sowie generell mit der Hochschule Hof, sehr zufrieden. Dazu möchte ich ergänzen, dass man sich als internationale Studentin im Studiengang gut integriert fühlt. Man knüpft schnell Kontakte mit Kommilitonen und die Dozenten sind jederzeit bereit einen zu unterstützen. Daher würde ich jedem empfehlen, der sich für das Marketing interessiert, sich bei uns zu bewerben.

Tina